

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა
/Translation theory and translation practice

ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის მაგისტრი/Master of Arts in Philology
სპეციალობა: თარგმანმცოდნეობა / Translation Studies

გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. კრედიტები გადანაწილებულია შემდეგი მოცულობით:

- პროგრამის სავალდებულო კურსებისათვის 35 კრედიტი;
- სასპეციალიზაციო მოდულების სავალდებულო კურსებისათვის 30 კრედიტი;
- არჩევითი კურსებისათვის 25 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის 30 კრედიტი.

დ. სწავლების ენა: პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე.

ე. პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან:

დარგობრივი თარგმანი (ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი) და **ფართო პროფილის თარგმანი** (გერმანული/რუსული ენები). სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თარგმანმცოდნე, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა თარგმანმცოდნეობაში და დამოუკიდებელი პრაქტიკული მთარგმნელობითი მუშაობის უნარ-ჩვევები.

სამაგისტრო პროგრამის “**თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა**“ მიზნები შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. უნივერსიტეტს აქვს ამ დარგის განვითარების კარგი ტრადიციები და აკადემიური პოტენციალი.

სამაგისტრო პროგრამის მკაფიოდ განსაზღვრული და კარგად გააზრებული, რეალისტური მიზნებისა და ამოცანების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს სწავლის შედეგები. პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, ითვალისწინებს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნებს და მის შესატყვის ცოდნას აძლევს სტუდენტს.

პროგრამის მიზანი მოდულისათვის დარგობრივი თარგმანი:

(ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი)

- სპეციალური იურიდიული ტექსტების თარგმნის პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- იურიდიული ცოდნის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული ტექსტების გაგებასა და გააზრებას;
- სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის გამოცდილება და პროფესიული ტერმინოლოგიური აპარატის გაფართოება;

- ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება;
- მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება;
- უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება და დახვეწა;
- თარგმნის უნივერსალური ჩვევების გამომუშავება;
- თარგმანის სტრატეგიისა და მოდელების შესწავლა;
- თეორიული ცოდნის აქტიური გამოყენება პრაქტიკაში ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს;
- ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა).

II. პროგრამის მიზანი მოდულისათვის ფართო პროფილის თარგმანი :

(გერმანული/რუსული ენები).

- უცხო ენის ცოდნის ზოგადი დონის ამაღლება და დახვეწა;
- თარგმნის უნივერსალური ჩვევების გამომუშავება;
- თარგმანის სტრატეგიისა და მოდელების შესწავლა;
- თეორიული ცოდნის აქტიური გამოყენება პრაქტიკაში ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს;
- მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება;
- სპეციალურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის უნარის გამომუშავება;
- თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუშავება;
- ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება;
- ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა);
- ზეპირი და წერილი თარგმანის ტექნიკის დახვეწა;
- მთარგმნელობითი საქმიანობის კულტურათაშორისი ასპექტების სიღრმისეულ გაცნობა.

ყველა ეს კონკრეტული მიზანი ემსახურება შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

- მისცეს სტუდენტს ის ცოდნა და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასაქმებას თარგმანის სფეროში (სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში ექსპერტებად, მთარგმნელებად, რედაქტორებად, სტილისტებად და სხვ.).
- განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელთა დახმარებით იგი შეძლებს მომავალშიც სრულყოს თავისი ცოდნა და გაიკეთოს წარმატებული კარიერა;
- გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები და მისი შესატყვისი ცოდნა მისცეს სტუდენტს;
- უზრუნველყოს შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხი.
- აღზარდოს მაგისტრანტი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და პროფესიული საქმიანობით დაამკვიდრებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.

გ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან უნდა იყოს დიპლომირებული სპეციალისტი რომელიმე შემდეგი მიმართულებით:

ჰუმანიტარული მეცნიერებები / განათლება / სოციალური მეცნიერებები / ხელოვნება / მიმართულებათშორისი დარგი (კულტურის კვლევები და რეგიონმცოდნეობა); ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ, ინგლისურ ან გერმანულ ფილოლოგიაში.

- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სავალდებულოა ინგლისური/გერმანული ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა ჩააბაროს პროგრამაზე მისაღები გამოცდა „თარგმანის თეორიასა და ისტორიაში.“

ზ. სწავლის შედეგი:

სწავლის შედეგი მოდულისათვის **დარგობრივი თარგმანი** (ინგლისურენოვანი/ გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტების თარგმანი)

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს აქვს სწავლის პროცესში მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნა თარგმანმცოდნეობაში და თარგმნის კარგად განვითარებული უნივერსალური უნარ-ჩვევები, გაცნობიერებული აქვს იურიდიული მეცნიერებების ცალკეული თეორიული საკითხები და პრინციპები. იცნობს სპეციალურ იურიდიულ ტერმინოლოგიას, შეუძლია ფაქტობრივი მასალის შემოქმედებითი ათვისება, მისი თეორიულ საფუძველზე განზოგადება და სისტემატიზება. ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნა. აქვს მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევები; მაგისტრს შეუძლია შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები; დამოუკიდებლად გაართვას თავი კომპლექსური თეორიული პრობლემების კვლევას; ახალი კუთხით შეხედოს არა მარტო ტრადიციულ საკითხებს, არამედ თავადაც დასვას ახალი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები; შემოქმედებითად გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ტრადიციული იდეები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სამაგისტრო პროგრამა ავითარებს თარგმანმცოდნეობის საკვლევი პრობლემისა და სათარგმნი ტექსტისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარს და დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს. მაგისტრს შეუძლია ორიგინალური გზები იპოვოს თარგმანმცოდნეობის თეორიული პრობლემისა და პრაქტიკული ამოცანის ახალი პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად. შეუძლია ახალი კუთხით შეხედოს არა მარტო ტრადიციულ საკითხებს, არამედ თავადაც დასვას ახალი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები, შემოქმედებითად გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ტრადიციული იდეები. მაგისტრს აქვს სპეციალურ ტექსტებზე პრაქტიკულ მუშაობის კარგი გამოცდილება, შეუძლია დასახოს კომპლექსური ამოცანა, სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან შეისწავლოს თარგმანმცოდნეობის თეორიული საკითხები და გადაჭრას პრაქტიკული ამოცანები, წარმატებით გამოიყენოს თავისი ცოდნა და უნარები ახალ, გაუთვალისწინებელ მულტიდისციპლინარულ გარემოში როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამუშაო ჯგუფთან ერთად. კვლევის დროს გამოიყენოს თარგმანმცოდნეობის უახლესი მეთოდები და მიდგომები;

დასკვნის უნარი - თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მიღწევებისა და ისტორიული გამოცდილების ცოდნა მაგისტრს საშუალებას აძლევს კრიტიკულად შეაფასოს, სინთეზურად და ინოვაციურად გადაჭრას თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. მაგისტრს აქვს უნარი დასაბუთებული დასკვნები გააკეთოს არა მხოლოდ კარგად ცნობილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, არამედ მოიძიოს დამატებითი რესურსები და ენობრივი თუ

კულტურათაშორისი კომუნიკაციის რთული პრობლემები იმ შემთხვევაშიც კი გადაჭრას, როცა მწირი და წინააღმდეგობრივი ინფორმაცია აქვს.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრს აქვს ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა; შეუძლია აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოების წინაშე ქართულ და უცხოურ ენებზე ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია და თარგმანმცოდნეობის კვლევების თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული თვალსაზრისი. მას შეუძლია ეფექტურად და ნაყოფიერად იმუშაოს მკვლევართა და პრაქტიკოს მთარგმნელთა ჯგუფთან, ითანამშრომლოს კოლეგებთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იყოს საერთაშორისო აკადემიური სივრცის სრულფასოვანი წევრი.

სწავლის უნარი - მაგისტრატურაში შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მაგისტრი აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს. მას შეუძლია სტრატეგიულად სწორად და მაღალ დონეზე დაგეგმოს სწავლა და ცოდნის გაღრმავება, მომავალში სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში ან დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფა.

ღირებულებები - მაგისტრს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული მთარგმნელის როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა. მას შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების სწორი შეფასება; თარგმანის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფენომენის, პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრების საფუძველზე სტუდენტს განვითარებული აქვს განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; იგი არა მარტო მატარებელია ამ ღირებულებებისა, არამედ თავისი პროფესიული საქმიანობის დროს ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ დამკვიდრებას. მაგისტრი აცნობიერებს და იცავს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.

სწავლის შედეგი მოდულისათვის **ფართო პროფილის თარგმანი** (გერმანული/ რუსული ენები).

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის წარმატებით დამლევს შემთხვევაში სტუდენტს აქვს სწავლის პროცესში მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნა თარგმანმცოდნეობაში და თარგმნის კარგად განვითარებული უნივერსალური უნარ-ჩვევები, შეუძლია ფაქტობრივი მასალის შემოქმედებითი ათვისება, მისი თეორიულ საფუძველზე განზოგადება და სისტემატიზება. ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნა. აქვს მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევები; მაგისტრს შეუძლია შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები; დამოუკიდებლად გაართვას თავი კომპლექსური თეორიული პრობლემების კვლევას; ახალი კუთხით შეხედოს არა მარტო ტრადიციულ საკითხებს, არამედ თავადაც დასვას ახალი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები; შემოქმედებითად გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ტრადიციული იდეები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სამაგისტრო პროგრამა ავითარებს თარგმანმცოდნეობის საკვლევი პრობლემისა და სათარგმნი ტექსტისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარს და დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს. მაგისტრს შეუძლია ორიგინალური გზები იპოვოს თარგმანმცოდნეობის თეორიული პრობლემისა და პრაქტიკული ამოცანის ახალი პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად. შეუძლია ახალი კუთხით შეხედოს არა მარტო ტრადიციულ საკითხებს, არამედ თავადაც დასვას ახალი

პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის ინოვაციური გზები, შემოქმედებითად გამოიყენოს ან ორიგინალურად განავითაროს ტრადიციული იდეები. მაგისტრს აქვს სპეციალურ ტექსტებზე პრაქტიკულ მუშაობის კარგი გამოცდილება, შეუძლია დასახოს კომპლექსური ამოცანა, სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან შეისწავლოს თარგმანმცოდნეობის თეორიული საკითხები და გადაჭრას პრაქტიკული ამოცანები, წარმატებით გამოიყენოს თავისი ცოდნა და უნარები ახალ, გაუთვალისწინებელ მულტიდისციპლინარულ გარემოში როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამუშაო ჯგუფთან ერთად. კვლევის დროს გამოიყენოს თარგმანმცოდნეობის უახლესი მეთოდები და მიდგომები;

დასკვნის უნარი - თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მიღწევებისა და ისტორიული გამოცდილების ცოდნა მაგისტრს საშუალებას აძლევს კრიტიკულად შეაფასოს, სინთეზურად და ინოვაციურად გადაჭრას თარგმანის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. მაგისტრს აქვს უნარი დასაბუთებული დასკვნები გააკეთოს არა მხოლოდ კარგად ცნობილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, არამედ მოიძიოს დამატებითი რესურსები და ენობრივი თუ კულტურათაშორისი კომუნიკაციის რთული პრობლემები იმ შემთხვევაშიც კი გადაჭრას, როცა მწირი და წინააღმდეგობრივი ინფორმაცია აქვს.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრს აქვს ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა; შეუძლია აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოების წინაშე ქართულ და უცხოურ ენებზე ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია და თარგმანმცოდნეობის კვლევების თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული თვალსაზრისი. მას შეუძლია ეფექტურად და ნაყოფიერად იმუშაოს მკვლევართა და პრაქტიკოს მთარგმნელთა ჯგუფთან, ითანამშრომლოს კოლეგებთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იყოს საერთაშორისო აკადემიური სივრცის სრულფასოვანი წევრი.

სწავლის უნარი - მაგისტრატურაში შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მაგისტრი აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს. მას შეუძლია სტრატეგიულად სწორად და მაღალ დონეზე დაგეგმოს სწავლა და ცოდნის გაღრმავება, მომავალში სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში ან დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფა. მაგისტრს გააჩნია ახალი ცოდნის შეძენისა და ინტეგრირების უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს თარგმანის პრობლემები განიხილოს კულტურათა დიალოგის ფართო კონტექსტში, კულტურისა და მეცნიერების განვითარების პრობლემებთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, შეუძლია იმუშაოს ზუსტად, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს თავისი უნარების ადაპტაცია ახალი თეორიული პრობლემების თუ პრაქტიკული ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად.

ღირებულებები - მაგისტრს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული მთარგმნელის როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა. მას შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების სწორი შეფასება; თარგმანის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფენომენის, პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრების საფუძველზე სტუდენტს განვითარებული აქვს განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; იგი არა მარტო მატარებელია ამ ღირებულებებისა, არამედ თავისი პროფესიული საქმიანობის დროს ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ დამკვიდრებას. მაგისტრი აცნობიერებს და იცავს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.

თ. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის,

სამაგისტრო ნაშრომის (ან სამაგისტრო თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში პროგრამაში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: კლასიკური ლექცია, ვერბალური გადმოცემის, ინტერაქციული სწავლების მეთოდები. წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა ჩართულობა (დისკუსია/დებატების საფუძველზე) პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისების წინაპირობაა. გამოყენებული იქნება ფორმალური ლოგიკის მეთოდები (ინდუქცია, დედუქცია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, სინთეზი და ანალიზი). სტუდენტის მიერ მასალის ათვისებისათვის გამოყენებული იქნება როგორც ზეპირი (სემინარი), ისე წერიითი მეთოდი.

გამოიყენება შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდები. რაც შეეხება ლექციის წარმართვის მეთოდებს, გამოიყენება მონოლოგის, დიალოგისა და მსჯელობის მეთოდები. სემინარული მუშაობის დროს ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება როლურ-სიტუაციური მეთოდი, კერძოდ, სტუდენტების წინასწარ ჯგუფებად დაყოფისა და მათთვის სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, შესაძლებელია ჩატარდეს დებატები წინასწარ შერჩეულ თემაზე. ენობრივი და ლიტერატურული პროცესების სისტემური და კომპარატივისტული ანალიზის მეთოდების გამოყენება. აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს სტუდენტის სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ ქცევას, ცოდნის დაგროვების პროცესში მის დაინტერესებას და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას.

შესაბამისი ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების სალექციო პრეზენტაცია მიზანშეწონილია PowerPoint-ის პროგრამის გამოყენებით. ანალოგიური მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტის მიერ მომზადებული რეფერატის პრეზენტაციაც.

ი. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60– საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

კ. სასწავლო გეგმა სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით: იხ. დანართი

ლ. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

მ. დასაქმების სფეროები:

შრომით ბაზარზე არის მოთხოვნა ამ პროფილის სპეციალისტებზე. მათ შეიძლება იმუშაონ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ნოტარიატებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, მასმედიის საშუალებებში, გამომცემლობებში ექსპერტებად, მთარგმნელებად, რედაქტორებად, სტილისტებად და სხვ. ან აწარმოონ დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა.

პროგრამის შემუშავების დროს კონსულტაციები გავმართეთ პოტენციურ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან იმ კონკრეტული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განსასაზღვრად, რომელიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს კონკრეტული სფეროს შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.

ნ. დამატებითი ინფორმაცია:

I. პროგრამას შეუძლია მოემსახუროს 15 მაგისტრანტს.

II. **პროგრამის კვლევითი კომპონენტი:** მაგისტრანტს შეუძლია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი თარგმანის ზოგადი და კერძო თეორიის, თარგმანის ისტორიის, ენათაშორის და კულტურათაშორის კომუნიკაციების პრობლემებზე, ენათა გრამატიკული თავისებურებებით გამოწვეულ მთარგმნელობით სირთულეებზე, თარგმანის ადეკვატურობის მიღწევის თეორიულ ასპექტებზე და ტრანსფორმაციის პრაქტიკული გზების მიებაზე და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, “სამაგისტრო თარგმანი”, ანუ მაგისტრანტის მიერ შესრულებული მნიშვნელოვანი იურიდიული სამეცნიერო ნაშრომის, დოკუმენტის, სალექციო კურსის, სახელმძღვანელოს და სხვ. თარგმანი. თარგმანს უნდა ახლდეს მეცნიერულ-კრიტიკული კომენტარები, რომელშიც მაგისტრანტი დაახასიათებს წარმოდგენილ თარგმანს, წარმოაჩენს და აღწერს მასთან დაკავშირებულ მთარგმნელობით სირთულეებს და ლოგიკურად დაასაბუთებს მათი გადაჭრის გზებს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: ნაშრომი ფასდება ასბალიანი სისტემით.

შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიისათვის:

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	10
2.	ნაშრომის მეცნიერული სიახლე	ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით, მაგისტრანტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პრობლემის კვლევაში	10
3.	პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	10
4.	ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრობის დაცვა, აზრების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან	10
5.	მსჯელობის არგუმენტირება და	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	5
6.	ციტირება		5
7.	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების,	5

		ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	
8	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	5

შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტისათვის:

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	5
2.	ნაშრომის მეცნიერული სიახლე	ნაშრომი უნდა გამოიჩინოს მეცნიერული სიახლით, მაგისტრანტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პრობლემის კვლევაში	5
3.	პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	5
4.	ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრობის დაცვა, აზრების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან	5
5.	მსჯელობის არგუმენტირება და	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	5
6	ციტირება		5
7	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	5
8	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	5

შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო თარგმანის დაცვის კომისიისათვის:

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	თარგმანის სიზუსტე და ადეკვატურობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მოცემული ტექსტის სწორი და ადეკვატური თარგმანის შესრულება, შესაბამისი და მრავალფეროვანი ლექსიკური საშუალებების გამოყენება;	20-10
2.	თარგმანის	მაგისტრანტს მოეთხოვება ნათარგმნი ტექსტის ენობრივად	5-5

	ენობრივი მხარე	გამართვა; მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტური და ორთოგრაფიულ-სტილისტური ნორმების დაცვა.	
3	სათარგმნელად შერჩეული ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	5-5

სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარების შეფასების კრიტერიუმები:

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.			
2.	თარგმანმცოდნეობითი პრობლემის ადეკვატური გააზრება, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველი საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	5-5
3.	სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, აზრების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	10-5
4.	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრებისა, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	10 -5
5.	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	5-5

შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო თარგმანის რეცენზენტისათვის:

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	თარგმანის სიზუსტე და ადეკვატურობა	მაგისტრანტს მოეთხოვება მოცემული ტექსტის სწორი და ადეკვატური თარგმანის შესრულება, შესაბამისი და მრავალფეროვანი ლექსიკური საშუალებების გამოყენება;	10
2.	თარგმანის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება ნათარგმნი ტექსტის ენობრივად გამართვა; მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტური და ორთოგრაფიულ-სტილისტური ნორმების დაცვა.	5

3	სათარგმნელად შერჩეული ნაშრომის აქტუალობა	ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და მნიშვნელოვანი	5
---	--	--	---

სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარების შეფასების კრიტერიუმები:

N:	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	თარგმანმცოდნეობითი პრობლემის ადეკვატური გააზრება, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა)	მაგისტრანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველი საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა	5
2.	სამეცნიერო-კრიტიკული კომენტარის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება	მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, აზრების გამოყოფა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, მაგისტრანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით	5
3.	კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი	მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრებისა, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი	5
4.	ნაშრომის ენობრივი მხარე	მაგისტრანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა	5

სამაგისტრო პროგრამას „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“ ახლავს:

ა) სასწავლო კურსის სილაბუსები (იხ. დანართი);

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
 ასოც. პროფ. ეკა ნაეროზაშვილი
 ასოც. პროფ. ნინო წერეთელი
 ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე
 ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე
 ასოც. პროფ. რუსუდან ზეჟალაშვილი
 ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე
 ასოც. პროფ. მარიკა ანდრაზაშვილი
 ასოც. პროფ. სოფიო მუჯირი

მოწვეული პროფესორები:

ფილოლოგიის დოქტორი ირინა კაპანაძე

ფილოლოგიის დოქტორი ნატა ჯანელიძე
თამარ ჩახნაშვილი, ენების ცენტრის მასწავლებელი
ლელა აბდუშელიშვილი

მოწვეული პროფესორები სხვა ფაკულტეტიდან:

პროფ. გიორგი ხუბუა
ასოც. პროფ. ვასილ გონაშვილი
პროფ. ნონა თოდუა
პროფ. გიორგი დავითაშვილი
ასოც. პროფ. მარინა გარიშვილი
კარლო ნიკოლეიშვილი
მინდია ბერეკაშვილი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ.

სამაგისტრო პროგრამა „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“ ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის რესურს-ცენტრი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.